

ლელა ცუცქირიძე



ორქიდეა

# კლასი VI

## კითხვის დონე – 6.1

### ტექსტის ტიპი – შემეცნებითი

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას და ნუგზარ არჩემაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) განუული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**G-PRIED**

Georgia Primary Education Project  
საქართველოს განათლების განვითარების პროექტი

## შესავალი

ალბათ ყველა თქვენგანს აქვს თავისი საყვარელი ყვავილი. ზოგს მზესავით ყვითელგულა გვირილა უყვარს, ზოგს – ქოჩორა იასამანი, ზოგს – ერთი ბენო ია, ზოგს – კომპიუტერთან ქოთნით მიდგმული ჩხვლეტია და მსუქანა კაქტუსის ყვავილი ურჩევნია ყველაფერს.

## რა არის ყვავილი?

თქვენ ალბათ უკვე იცით, რომ ყვავილი მცენარის სახეცვლილი ყლორტია. ის შედგება გვირგვინის ფოთლებისგან, ჯამის ფურცლებისგან, მტვრიანებისგან და ბუტკოსგან. სწორედ ყვავილია მცენარის გამრავლების ორგანო. მისგან მცენარის თესლი და ნაყოფი წარმოიქმნება.

არსებობს მოყვავილე და არამოყვავილე მცენარეები. არამოყვავილეს უწოდებენ მცენარეს, რომელსაც ყვავილი არ აქვს, მაგ. ნაძვი, კვიპაროსი და სხვ. მოყვავილეს უწოდებენ მცენარეს, რომელსაც ყვავილი აქვს. თურმე ჩვენს პლანეტაზე 500000-მდე სახეობის მცენარეა გავრცელებული. აქედან ნახევარზე მეტი ყვავილიანია.

## ყვავილი, როგორც სიმბოლო

ყვავილი სილამაზის, სინაზის და სიყვარულის სიმბოლოა. მას ხშირად იყენებენ **ჰერალდიკაში**.<sup>1</sup> ყველა სახელმწიფოს თავისი გერბი აქვს. გერბები



<sup>1</sup> „ჰერალდიკა“ ლათინური სიტყვაა და „მაცნეს“ ნიშნავს. თავდაპირველად იმ მიზნით წარმოიშვა, რომ ერთმანეთისგან გაერჩიათ ორთაბრძოლაში მონაწილეები და ჩაფხუტიანი მებრძოლები.

ჰერალდიკა დამხმარე ისტორიული დისციპლინაა, რომელიც გერბებს შეისწავლის. თავის მხრივ, გერბი მემკვიდრეობითი განმასხვავებელი ნიშანია.

აქვს ასევე ქალაქებს, გვარებს, პროვინციებს, სხვადასხვა გაერთიანებებს, სამეფო დინასტიებს.


მაგალითად, მალდივის გერბზე გამოსახულია ხუთფურცლიანი ვარდი.



საფრანგეთის სამეფოს გერბში კი გამოყენებული იყო თეთრი შროშანი (ლილია).

ყვავილს არა მარტო ქვეყნების, თქვენ წარმოიდგინეთ, სპორტული კლუბების ემბლემადაც კი იყენებდნენ. მაგალითად, ყველასთვის ცნობილი ინგლისური საფეხბურთო კლუბის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურებს 1908/09 წლის სეზონის ინგლისის თასის ფინალში ლანკასტერის წითელი ვარდის ემბლემა ამშვენებდა.

არსებობს ომებიც, რომლებიც სწორედ ყვავილის სახელით შევიდა ისტორიაში. ასეთია 30-წლიანი სამოქალაქო ომი, რომელიც ინგლისის ორ სამეფო დინასტიას – ლანკასტერებსა და იორკებს – შორის მიმდინარეობდა და რომელიც ცნობილია, როგორც „ალისფერი და თეთრი ვარდების ომი“. ეს იმიტომ, რომ ამ დინასტიების სამეფო ემბლემები ალისფერი და თეთრი ვარდი იყო. სწორედ ლანკასტერების ალისფერი ვარდი გამოიყენა „მანჩესტერ იუნაიტედმა“.





იცით, კიდევ სად გვხვდება „ალისფერი და თეთრი ვარდების ომი?“ ასე დაარქვა მეზობელი უბნის ბიჭებთან მუმრიკის ხელში ჩასაგდებად დაწყებულ „ორთაბრძოლებს“ ასტრიდ ლინდგრენის ნანარმოების პერსონაჟმა, დეტექტივმა კალე ბლუმკვისტმა. თუმცა ამ ომზე რომ უკეთ გაიგოთ, ჯობს, კალე ბლუმკვისტზე დაწერილი წიგნები წაიკითხოთ. გარნმუნებთ, ძალიან ისიამოვნებთ.

ბარდისა თუ შროშანის გარდა გერბებსა თუ ემბლემებში გვხვდება სხვა ყვავილებიც. მაგალითად, ბარბადოსის სახელმწიფო გერბზე გამოსახულია ორქიდეა.



## ორქიდეა

ორქიდეა მცენარეთა ყველაზე დიდი ოჯახია. გარდა ანტარქტიდისა, დედამიწის ყველა კონტინენტზე ხარობს, უმეტესად – ტროპიკულ ზონებში, მაგ. ბაჰამის კუნძულებზე, სამხრეთ ამერიკაში, ტრინიდადში, კუბაში და სხვ.

ბუნებაში ორქიდეის დაახლოებით 20000 ველური სახეობაა გავრცელებული. ამას ემატება 10000-მდე სხვადასხვა სახის ოქრიდეაც, რომლებიც დღემდე ხელოვნურად გამოჰყავთ.

## რამდენი წლისაა ორქიდეა?

ორქიდეა პლანეტის ერთ-ერთი უძველესი მცენარეა. მას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. მეცნიერებმა ორქიდეის ყვავილის მტვერი ქარვაში ჩაკირული ფუტკრის ზურგზე აღმოაჩინეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს მტვერი დაახლოებით 10-15 მილიონი წლის წინანდელი იყო. სხვადასხვა გამოკვლევაზე დაყრდნობით იმასაც კი

ვარაუდობენ, რომ ორქიდეა იმაზე ადრეც არსებობდა, სანამ დედამიწაზე კონტინენტები გაიყოფოდა. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში ორქიდეას ეთაყვანებოდნენ ჩინეთში. ხოლო ქრისტესშობამდე 375 წელს, ბერძენმა ფილოსოფოსმა და ერთ-ერთმა პირველმა ბოტანიკოსმა თეოფრასტმა ამ ყვავილს „ორქისი“ უწოდა. სწორედ ანტიკური პერიოდიდან ვხვდებით ცნობებს ორქიდეაზე. მის წარმოშობაზე კი ხალხში ლეგენდებია გავრცელებული.

## ლეგენდები

**ლეგენდა 1:** ერთ-ერთი ბერძნული ლეგენდის თანახმად, კვიპროსის მეფის ვაჟი, ადონისი, რომელიც ღმერთებსაც კი სჯობდა სილამაზით, ქალღმერთ აფროდიტეს შეუყვარდა. ამაზე ზევსი განრისხდა და ერთხელ, სანადიროდ წასულებს საშინელი ჭექა-ქუხილი მოუვლინა. ადონისმა და აფროდიტემ მღვიმეს შეაფარეს თავი. ამ დროს აფროდიტეს ოქროს მაშია გასძვრა და ულამაზეს ყვავილად, მხურვალე სიყვარულის სიმბოლოდ, ორქიდეად იქცა. ორქიდეის ეს სახეობა (*Cypripedium calceolus*) მართლაც ძალიან წააგავს ოქროს მაშias.



**ლეგენდა 2:** ახალი ზელანდიის აბორიგენებს თავიანთი ლეგენდა აქვთ ორქიდეაზე.

ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინ, მზე ჩვენს პლანეტას იშვიათად სტუმრობდა, ამიტომ ყველაფერი თოვლით იყო

დაფარული. ზოგჯერ მზე დედამინაზე სხივს აგზავნიდა. სხივი თოვლს სწრაფად აღნობდა. თოვლი ნიაღვრად იქცეოდა. ასე ჩნდებოდა ზღვები. ზღვიდან აორთქლებული წყალი თანდათან უფრო და უფრო დიდ ღრუბლებს წარმოქმნიდა. ამის გამო მზე დედამინას ველარ ხედავდა. მან სხივებით სცადა ღრუბლების გაფანტვა, რასაც ძლიერი წვიმა მოჰყვა. წვიმამ მინაზე თოვლი მთლიანად დაადნო. როცა გადაიღო, ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა.

დედამინაზე მცხოვრებმა ბოროტმა სულებმა ცისარტყელაზე დადგომა მოინდომეს. შვიდფერა ნახევარკალმა მათ სიმძიმეს ვერ გაუძლო და დაიმსხვრა. მისი ათასობით წვრილი, ფერადი ნამსხვრევი კი მინაზე ჩამოცვივდა და დიდებულ ყვავილებად, ორქიდეად, იქცა.

## **როგორ მრავლდება ორქიდეა?**

ორქიდეის თესლებიდან ახალი მცენარე რომ აღმოცენდეს, განსაკუთრებული პირობები სჭირდება. აღმოჩნდა, რომ ამისთვის მხოლოდ შესაფერისი სინათლე, სითბო და ტენი არ არის საკმარისი. ამ მცენარის თესლი მხოლოდ მაშინ ღვივდება, როდესაც მისი დაინფიცირება ხდება ერთ-ერთი იშვიათი სახეობის სოკოთი, რომელიც მცენარეს არ აზიანებს.

ორქიდეის გამრავლებაში დიდ როლს თამაშობენ მწერებიც, რადგან სწორედ მათი საშუალებით ხდება ყვა-



ვილის **დამტვერვა**.<sup>2</sup> კუნძულ მაიორკაზე იზრდება „ფუტკარა ორქიდეა“, რომლის ყვავილები თავისი გარეგნული იერიითა და სუნით თაფლს წააგავს. ამის გამო მამრ ფუტკრებს ისინი მდებარე ფუტკრებში ერევათ და ხშირად სტუმრობენ ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე „ფუტკარა ორქიდეას“. მოტყუებულ ფუტკრებს სხეულზე აკრული მტვრის ტომსიკები და მტვერი ერთი ყვავილიდან მეორეზე გადააქვთ.

„ფუტკარა ორქიდეის“ გარდა სხვა ორქიდეებსაც თავისებური „ხაფანგები“ აქვთ მწერების მისაზიდად.

მაგალითად, ორქიდეა ფალენოპსისი (*Phalaenopsis*) პეპელას წააგავს. ის თავისი გარეგნობით იტყუებს პეპლებს და თავს ამტვერიანებინებს.

ზოგი ორქიდეა მწერებს თავისი მოტკბო სურნელით იზიდავს, ზოგი – ლემის სუნით და ა.შ.

ორქიდეებსა და მათი დამმტვერიანებელ მწერებს შორის ამ უნიკალურ ურთიერთკავშირს თანაევოლუციას უწოდებენ.

## როდის შეაჯვარეს პირველად ორქიდეა?

მებაღეები ადვილად აჯვარებენ ერთი სახეობისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სხვადასხვა სახეობის ორქიდეებსაც კი, რის შედეგადაც ამ ყვავილის უამრავი ახალი **ჰიბრიდი**<sup>3</sup> იქმნება. მათი უმეტესობა ბოლო 100 წელიწადშია მიღებული.

<sup>2</sup> დამტვერვა – მცენარის ყვავილის მტვრის მარცვლების მოხვედრა ბუტკოს დინგზე. ყვავილოვან მცენარეთა სქესობრივი გამრავლების ფორმა.

<sup>3</sup> ჰიბრიდი – ორი სხვადასხვა გენოტიპის მქონე მშობლიური უჯრედის შეჯვარების შედეგად მიღებული ორგანიზმი.





ორქიდების სახეობებს შორის პირველი ხელოვნური დამტვერვა (შეჯვარება) ბრიტანელმა მებაღემ ჯონ დომინიმ განახორციელა და 1856 წელს მიიღო კიდევ ორქიდების პირველი ხელოვნური ჰიბრიდი – კალანტე დომინი (*Calanthe dominii*).



დღეისათვის **სელექციონერებმა**<sup>4</sup> ორქიდების ბუნებრივზე მეტი ხელოვნური სახეობა გამოიყვანეს. ისინი ახლადმიღებულ მცენარეს თესლიდან ზრდიან და შემდეგ რამდენიმე წელი ელოდებიან მის გაყვავილებას.

გარდა კერძო სელექციონერებისა, მსოფლიოში არსებობს დიდი ფირმებიც, რომლებიც სწორედ ამ ყვავილის გამრავლებასა და მისი ახალი ჯიშების გამოყვანაზე ზრუნავენ.

ზრდასრული ორქიდების მისაღებად ხუთი, ზოგიერთი ჯიშისთვის კი ათი წელია საჭირო. ამიტომ, მსოფლიო ბაზარზე ამ ყვავილის ფასიც მაღალია.

## რაში იყენებენ ორქიდას?

ჯერ კიდევ ძველი ჩინელი, რომაელი, ბერძენი, იაპონელი ექიმები, ასევე აცტეკების და მაიას ტომის მკურნალები იყენებდნენ ორქიდას სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. იქნებოდა ეს ანთებითი პროცესები, თავის ტკივილი, ხველა, კანის დაავადება, რევმატიზმი თუ სხვ.

<sup>4</sup> სელექციონერი – ის, ვინც მუშაობს სელექციაზე. სელექცია – (ლათ. *selectio* – შერჩევა) – მეცნიერება მცენარეებისა და ცხოველების ახალი ჯიშების შექმნის მეთოდებზე. გენეტიკის ერთ-ერთი დარგი.

მას იყენებდნენ საკვებადაც. მძივივით აცმული ორქიდის ყვავილებს ახმობდნენ და გაჭირვების დროს ჭამდნენ. წარმოიდგინეთ, თითო „მძივი“ ადამიანს მთელი დღით ანაყრებდა.

ზულუს ტომის მამაკაცები წარმატების მისაღწევად მხარზე ყვითელ-წითელლაქებიან ორქიდის ფურცლებს იმაგრებდნენ. დამწვარი ორქიდის კვამლს კი შიშველი ღამეული კომპარების გაფანტვა.



ორქიდეას დღეს ფართოდ იყენებენ პარფიუმერიაში სხვადასხვა სახის სუნამოების დასამზადებლად. მისგან ასევე ამზადებენ სახისა თუ ტანის მოვლის საშუალებებს და სხვ.

ორქიდისგან მზადდება ნებოც.

## ბაბიჯით რაიმე ვანილის უსასხუ?

ალბათ ყველა თქვენგანს ერთხელ მაინც მოუკრავს ყური ამ სიტყვისთვის დედის თუ ბებიების საუბარში. ვანილს კულინარიაში იყენებენ. ამ სურნელოვანი ფხვნილის გარეშე ნამცხვრის თუ ტორტის გამოცხოება თითქმის წარმოუდგენელია. არსებობს ორქიდის სახეობა: „ვანილის ორქიდეა“ (*vanilla planifolia*).





ის ლიანების სახით იზრდება. ამის გამო პლანტაციებში დრაცენას ხეებს რგავენ, ან სპეციალურ საყრდენებს იყენებენ, რათა ლიანამ მასზე შემოხვევა და ასვლა შეძლოს.


ვანილს ორქიდეის ორი სახეობიდან იღებენ.

ვანილის ორქიდეის სამშობლო მექსიკაა. მას მხოლოდ მექსიკაში არსებული ფუტკრის ერთი სახეობა მელიპონა და ასევე მხოლოდ მექსიკაში არსებუ-

ლი ერთი სახეობის კოლიბრი ამტვერიანებენ.

1816 წელს ჰოლანდიელებმა ვანილის ორქიდეის გახარება სცადეს კუნძულ იავაზე და პლანტაციაც გააშენეს. თუმცა უშედეგოდ. მცენარე ხარობდა, მაგრამ ნაყოფს არ იძლეოდა. ასე გაგრძელდა 18 წელიწადს, სანამ გამოკვლევების შედეგად არ მიხვდნენ ვანილის უნაყოფობის მიზეზს. კუნძულ იავაზე არ იყო ფუტკრის და კოლიბრის ის სახეობა, რომელიც ორქიდეას ამტვერიანებდა.

ვანილის პლანტაციებში მტვერი ყვავილიდან ყვავილზე ხელით, ფუნჯის საშუალებითაც გადააქვთ. ამას ძირითადად ბავშვები აკეთებენ. ისინი დღეში 1000-მდე ყვა-



ვილს ამუშავებენ. ვანილი სიცოცხლის მესამე წელს ყვავის და ისიც მხოლოდ ერთი დღით – შუადღიდან ღამემდე. ამის შემდეგ წარ-

მოიქმნება გრძელი პარკები, რომლებშიც წვრილი შავი თესლია. ნაყოფს დამწიფებამდე წყვეტენ, მაშინ, როდესაც მას ჯერ სურნელი არ აქვს. იმისათვის, რომ ნაყოფი სურნელოვანი გახდეს, დიდი შრომაა საჭირო.



თავდაპირველად პარკებს 20 წამით 80-85°C-მდე გაცხელებულ წყალში ათავსებენ, მერე შალის ქსოვილში ახვევენ და 60°C ტემპერატურაზე ინახავენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ზუსტად ერთი საათით გამოაქვთ მზეზე. მომდევნო დღეს – ზუსტად 10 წუთით მეტხანს უმატებენ. შემდეგ დღეს – კიდევ ზუსტად 10 წუთით მეტხანს და ასე გრძელდება ერთი თვის განმავლობაში.

ვანილი თანდათან იძენს მოტკბო, მსუბუქ სურნელს, მომწარო გემოსა და ყავისფერ შეფერილობას.

ამის შემდეგ პარკები გამოაქვთ ღია ადგილას, ჩრდილში და მანამდე აშრობენ, სანამ თეთრი ფენა არ დაედება.

მართალია, მთელი ამ პროცესის განმავლობაში ვანილი წონის 2/3-ს კარგავს, მაგრამ, სამაგიეროდ, იძენს ყველა საჭირო თვისებას.

ვანილის ორქიდეის ყველაზე დიდი პლანტაციები მადაგასკარში, ინდონეზიასა და ჩინეთშია, გვხვდება ლათინურ ამერიკაშიც.

## **ორქიდეების საერთაშორისო გამოფენა**

ორქიდეა თავისი მრავალფეროვნების და უჩვეულო ფორმების გამო კარგ საკოლექციო მცენარედაც ითვლება. მიუხედავად მაღალი ფასისა, კოლექციონერები მზად



არიან, ნებისმიერი თანხა გადაიხადონ, რათა კიდევ ერთი მშვენიერი ორქიდეა შემატონ თავიანთ კოლექციას.

ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში იმართება ორქიდეების საერთაშორისო გამოფენა. პირველად იგი 1954 წელს ჩატარდა „ბრიტანეთის მეზალეთა სამეფო საზოგადოების“ და „ამერიკის ორქიდეის საზოგადოების“ თაოსნობით. გამოფენაზე თავს იყრიან მეზალეები, სელექციონერები, ბოტანიკოსები, ბუნების დამცველები, ბიზნესმენები, კოლექციონერები თუ უბრალოდ ორქიდეის მოყვარულები. ისინი ათვალიერებენ ათასობით სხვადასხვა შეფერილობისა და მოყვანილობის ყვავილს და დიდი ინტერესით ელოდებიან სელექციონერების მიერ გამოყვანილ ახალ სახეობებს შორის საუკეთესოს გამოვლენას.

## **რატომ ინტარესდებიან ალამიანები ორქიდეით?**

გარდა იმისა, რომ ორქიდეას სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ, ის ძალიან მრავალფეროვანი, უცხო და უჩვეულო ყვავილის მქონე მცენარეა. შეიძლება ითქვას, ერთგვარად ამოუცნობიც.

საინტერესოა ისიც, რომ მისი თვისებები დიდად არის დამოკიდებული ჯიშზე. მაგალითად, ერთი ჯიშის ორქი-





დეა სურნელს მხოლოდ დღისით გამოსცემს, მეორე – მხოლოდ ღამით, მესამე – დღისით სხვაგვარ სურნელს აფრქვევს, ღამით – განსხვავებულს და ა.შ.

ორქიდების ყვავილობა სამი კვირიდან სამ თვემდე გრძელდება, ის ამ მხრივაც განსხვავდება სხვა ყვავილებისგან. 2001 წელს აღმოაჩინეს ორქიდეა, რომელიც მხოლოდ ერთხელ და ისიც ერთი ღამით ყვავის.

გარდა სილამაზისა და უცნაური, მრავალფეროვანი ფორმებისა, ეს ყვავილი მკვეთრი ფერებით, საოცარი სურნელებითა და თვისებებით გამოირჩევა.

იქნებ სწორედ ამ უამრავი თვისების ბრალია, რომ ორქიდეით ყოველთვის განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ და დღესაც ინტერესდებიან არა მხოლოდ ბოტანიკოსები.

დიდი ხნის წინ მის მოსაპოვებლად ადამიანები არაფერს ერიდებოდნენ: აწყობდნენ ლაშქრობებს და ამ ლაშქრობების დროს, ჭაობებსა და ტყეებში ხშირად იღუპებოდნენ კიდევ. აუქციონებზე ეს ყვავილები ყველაზე ძვირად იყიდებოდა. იყო შემთხვევები, როცა ორქიდების ხელში ჩასაგდებად მკვლევლობებიც კი ჩაუდენიათ.

მოკლედ, ორქიდეაზე დიდი ნადირობა იყო გამოცხადებული, რის გამოც ტროპიკული ტყეები თანდათან იცლებოდა ბუნების ამ სასწაულისგან და მცენარეს გადაშენება ემუქრებოდა.

საუკუნეების მანძილზე მეზღვეები ძალიან ბევრს მუშაობდნენ, რათა, ერთი მხრივ, გადაერჩინათ ის და, მეორე მხრივ, მისი შეჯვარების, სათბურებში მოყვანისა და გახარების ტექნოლოგია დაეხვეწათ.

## უცნაური ორქიდეები

უკვე გავიგეთ, რომ ორქიდეებს სულ სხვადასხვა შეფერილობის და ფორმის ყვავილები აქვთ და მათი თითოეული ყვავილი დახვეწილობით გამოირჩევა.

თუმცა არსებობენ უცნაური ფორმის ორქიდეებიც.

თუ ყურადღებით დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ორქიდის ეს ყვავილები ფრთაგაშლილ ჩიტებს ჰგვანან.



სანამ ყვავილებს გამოიღებს, ეს ორქიდეა ქალის ტუჩებს მოგვაგონებს.

ეს – საფენებში გახვეულ ჩვილს.



ეს ორქიდეა კი არა, ნამდვილი ბალერინაა. თითქოს სოლო პარტიას ცეკვავს.

ესენი გაფრენილ იხვებს ჰგვანან. ნეტავ, სად მიფრინავენ?



ეს ხელგაშლილ კაცუნას ჰგავს, შეიძლება ცხოველსაც.

აი, ესენი კი ვის ჰგვანან, თავად მიხვდით.







სულაც არ მიკვირს, რომ მათ „მაიმუნ ორქიდებს“ უწოდებენ. მგონი, არც თქვენ გაგიკვირდებათ.

ამ ორქიდეის დანახვამ შეიძლება შეგაშინოთ კიდევ. ტყულებრალოდ არ შეარქვეს მას „ორქიდეა-დრაკულა“.



## როგორ მოვუაროთ ორქიდეას?

თუ გსურთ, სახლში ორქიდეა გქონდეთ, გირჩევთ, შეიძინოთ მისი სახეობა – ფალენოპსისი (ორქიდეა, რომელიც პეპლებს იტყუებს). მას განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდება და დიდხანს ყვავილობს. ფალენოპსისს არც გამორჩეული განათება სჭირდება. როცა აყვავდება, ინტერიერის გასალამაზებლად შეგიძლიათ ოთახის სიდრმეშიც გადადგათ. ოღონდ ყვავილობის შემდეგ აუცილებლად თავის ადგილას უნდა დააბრუნოთ.

ორქიდეას არ უყვარს მზის გულზე ყოფნა. ის ადვილად იტანს 18°C-დან 28°C-მდე ტემპერატურას. 30°C-ზე მაღალი ტემპერატურის დროს კი სასწრაფოდ ჩრდილში, გრილ ადგილას უნდა გადაიტანოთ. საერთოდ კი სასურველია, იმ ადგილას, სადაც ორქიდეა გაქვთ, ტემპერატურა მკვეთრად არ იცვლებოდეს.

ფალენოპსისი დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ უნდა მორწყათ. მორწყვა მხოლოდ მას შემდეგ უნდა, როცა ფესვები მთლიანად გაუშრება. კარგად გაშრება ქოთნის კედლებიც და ქოთანი სიმშრალისგან შემსუბუქდება. უნდა მორწყათ ოთახის ტემპერატურის ონკანის ან გაფილტრული წყლით. სასურველია შუადღემდე, რომ მისმა ფესვებმა დალამებამდე მოასწროს გაშრობა. ალბათ მიხვდით, რომ ფალენოპსისისთვის ფესვების სიმშრალე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ამ ყვავილს არ უყვარს შენუხება, ამიტომ იშვიათად სჭირდება გადარგვა, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფესვები ქოთანში აღარ ეტევა.

